სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ბაგალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	78	100

ლევან ნემსაძე

თარიღი: 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნინო ხაბალაშვილის

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15- მე- 16 პუნქტების შესაბამისად.

ამასთან, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა 2024 წლის 5 სექტემბერს.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი კონკურსის ფარგლებში კანდიდატ ნინო ხაბალაშვილთან გასაუბრებები ჩატარდა 2024 წლის 4 და 5 სექტემბერს, გამომდინარე

აქედან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული ორივე კონკურსის კითხვა-პასუხის შედეგები.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 40 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, 2005 წელი)

სპეციალობით მუშაობს 18 წელი, კერძოდ:

- 2006 - 2009 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი;
- 2009 – 2016 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე;
- 2015 – 2016 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.
- 2016 მაისიდან - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე (მთავარი კონსულტანტი).

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიულ სინდისს და პიროვნულ დამოუკიდებლობას, მედეგობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერებას. განმარტავენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, თავაზიანი, პრინციპული და გაწონასწორებული პიროვნება.

კანდიდატთან დაკავშირებით ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში მისი მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
კანდიდატი სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არ იძებნება.
კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა 28,55 კვ.მ. ქ. თბილისი;
უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად 2007 წლის 11 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეზე.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალში ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდირებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე.
სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები. ძირითადად მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში. მოსაზრებებს აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა, ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას.
სისხლის სამართალი - ვინაიდან სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია სჭირდება გარკვეული მითითება, თუმცა მითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უმვებდა შეცდომებს. მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, თუმცა ზოგჯერ მისი ზეპირი ფორმით მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად.

კანდიდატს აქვს პუბლიკაციები და ნაშრომები:

- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად ჟურნალი: „თეუსუ“ №1, 2009 წელი
- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება შრომითი უფლებების დარღვევის დროს, ჟურნალი: „ცხოვრება და კანონი“ №18, 2012 წელი

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- 2017 წელი - ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში;
- 2018 წელი - „რელაციის ტექნიკა; მტკიცებულებათა შეფასება; მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო სამართალში";
- 2022 წელი - „დისკრიმინაციის თემაზე ეროვნული სტანდარტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში" და სხვა.

იგი არ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას.

ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

არის დაოჯახებული.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის" მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად, ირკვევა კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 1 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.
შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.**

,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის'' მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საოანადო ცოდნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული, ან/და იყო ხარვეზიანი. კანდიდატი ძირითადად შემოიფარგლებოდა ზოგადი პასუხებით.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -18 ქულით.**

,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებითა და ნაშრომებით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მისი შეფასება ამ კრიტერიუმით; ასევე დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -18 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. ამასთან, გავეცანი კანდიდატის პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებს, კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს და მივიჩნიე, რომ იგი, **,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -16 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. იგი წლების განმავლობაში საქმიანობდა სასამართლო სისტემაში, სასამართლო სხდომის მდივნად, ხოლო შემდგომ მოსამართლის თანაშემწედ. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **,,პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -13 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -9 ქულით.**

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. აქვს 2 ნაშრომი/პუბლიკაცია. იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე

გამართულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 4 ქულით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 78 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 16.09.2024